ვინც მოუხსნის მორწმუნეს სირთულეს ამქვეყნიური სირთულეებიდან, ალლაჰი მას მოუხსნის სირთულეს განკითხვის დღის სირთულეებიდან

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც მოუხსნის მორწმუნეს სირთულეს ამქვეყნიური სირთულეებიდან, ალლაჰი მას მოუხსნის სირთულეს განკითხვის დღის სირთულეებიდან, ვინც გაუადვილებს სირთულეში მყოფს, ალლაჰი გაუადვილებს მას ამქვეყნად და იმქვეყნად, ვინც დაფარავს მუსლიმს ალლაჰი დაფარავს მას ამქვეყნად და იმქვეყნად, ალლაჰი დაეხმარება თავის მსახურს, სანამ ეს მსახური თავის ძმას ეხმარება, ვინც დაადგება გზას ცოდნის მისაღებად, ალლაჰი მას ამით გაუადვილებს გზას სამოთხისკენ, როდესაც შეიკრიბება საზოგადოება რომელიმე სახლში ალლაჰის სახლებიდან, კითხულობენ ალლაჰის წიგნს და ასწავლიან ერთი მეორეს, მათზე გარდმოევლინება სიმშვიდე, მათ გარემოიცავს წყალობა, გარს შემოეხვევიან ანგელოზები, და ალლაჰი მათ ახსენებს მასთან მყოფებთან, ვისაც მისი საქმენი შეაყოვნებს, მას წინ ვერ წასწევს მისი წარმომავლობა».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ მორწმუნეს საფასური ღმერთის წინაშე ისეთივე იქნება, როგორც მუსლიმი ეპყრობა სხვა მუსლიმებს; ვინც მოუხსნის, აღმოუფხვრის, გაუქრობს და მოუგვარებს მორწმუნეს რაიმე განსაცდელს და სირთულეს ამქვეყნიური განსაცდელებიდან, ალლაჰის მას დააჯილდოვებს და მოუხსნის განსაცდელს განკითხვის დღის განსაცდელებიდან. ვინც გაუადვილებს სირთულეში მყოფს, შეუმსუფუქებს და მოუხსნის მას სირთულეს, ალლაჰი მას შეუმსუბუქებს (მის სირთულეებს) ამქვეყნად და იმქვეყნად. ვინც დამალავს მუსლიმის შეცდომებსა და არასათანადო ქცევებს, რომლებიც გაიგო, ალლაჰი მას დაფარავს ამ სამყაროში და საიქიოში. ალლაჰი შეეწევა თავის მსახურს მანამ, სანამ ეს მსახური თავის ძმას ეხმარება ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ სიკეთეებში, დახმარება შესაძლებელია ვედრებით, ფიზიკურად, ქონებით და სხვა. ვინც გაემგზავრება რელიგიური ცოდნის მისაღებად, უზენაესი ალლაჰის კმაყოფილებისთვის; ალლაჰი მას გაუადვილებს სამოთხისკენ მიმავალ გზას. რომელიმე საზოგადოება თუ შეიკრიბება ალლაჰის სახლებიდან ერთ-ერთში, კითხულობენ ალლაჰის წიგნს და ასწავლიან ერთმანეთს, მათზე გარდმოევლინება სიმშვიდე და სიწყნარე, მათ გარს შემოევლება და მოიცავს წყალობა, შემოეხვევიან ანგელოზები, ალლაჰი მათ შეაქებს მასთან დაახლოებულებთან (ანგელოზებთან), მორწმუნეს პატივად ისიც ეყოფა, რომ ალლაჰი მას ახსენებს მაღლა ზეცაში. ვისი საქმეც არასრულყოფილი და მწირია, ვერ მიაღწევს იმ ადამიანთა ხარისხს, რომლებიც უკეთეს საქმეებს ასრულებენ. ამიტომ, ადამიანი არ უნდა დაეყრდნოს მხოლოდ კეთილშობილურ წარმომავლობასა და წინაპრების ღირსებებს, ხოლო თვითონ საქმეებში დაუდევრობა არ უნდა გამოიჩინოს.

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee